1. **სასწავლო კურსის დასახელება:** ამერიკული კონსერვატიზმი / Conservatizm in the United States of America

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს კონსერვატიზმის არსი და მისი ამერიკული ნაირსახეობა. კონსერვატიზმი ამერიკული სახელწიფოს ერთ-ერთ უმთავრეს იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს და ძირითადად რესპუბლიკური პარტიის მსოფლმხედველობაში აისახება, თუმცა სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით დემოკრატიულ პარტიაშიც აისახება ხოლმე.

2. **სასწავლო კურსის დასახელება:** ამერიკა და ამერიკული ყოფა აშშ-ის კინემატოგრაფში / America and Its Everyday Life in the US Cinematography

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია, ამერიკული ყოფისა და ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოჩენა აშშ-ის კინემატოგრაფის საფუძველზე; გზა – ჩანაფიქრიდან გამომსახველ სტრუქტურამდე, შავ-თეთრი და ფერადი კინოს გამომსახველობითი ტრადიციების ფორმირება და ა.შ. კურსის პრიორიტეტული თემაა ამერიკული კინოსათვის დამახასიათებელი ჟანრების პოლიფონიურობა, როგორც აზრწარმომქმნელი სტრუქტურა, რომელიც კინოთემატიკას ბადებს, ხშირად ახალს; ასევე, თანამედროვე ამერიკული კინოდრამატურგიის პრობლემატიკა, ახალი რეალობის ფორმირების ფონზე (90-იანი წლები), მით უფრო, რომ ამერიკული კინო დღესდღეობით სრულიად ახლებურ მიდგომებს საჭიროებს, ვიდრე ეს ჩვენში ადრე დასტამბულ ნაშრომებსა და წიგნებში ჩანს; კურსში აღნიშნული თემატიკა განხილულია ვრცელი პერიოდის მოცულობით – აშშ-ში კინემატოგრაფის დაბადებიდან დღემდე. ამასთანავე, თემატიკა და კინემატოგრაფის განვითარების გზა ერთგვარ «ურთიერთშემავსებელ» კავშირშია დანახული პროგრამის ავტორის მიერ.

3. **სასწავლო კურსის დასახელება:** აშშ-ს საგარეო პოლიტიკა ჯორჯ ვაშინგტონიდან ობამამდე / American Foreign Policy from Washington to Obama

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები. კურსი ფოკუსირებულია ამერიკის საგარეო პოლიტიკის ევოლუციაზე იზოლაციონიზმიდან აქტიურ საერთაშორისო პოლიტიკამდე. კურსი განსაკუთრებით აქტუალურია ჩვენთვის, ვინაიდან აშშ-ის საგარეო პოლიტიკა უდიდეს გავლენას ახდენს საქართველოზე, ხოლო ქართულ-ამერიკული თანამშრომლობა ყოველწლიურად ფართოვდება და ღრმავდება.

4. **სასწავლო კურსის დასახელება:** აშშ–ის სოციალური ინსტიტუტები / Social Institutions of the U.S.A.

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია, სტუდენტებს გააცნოს, ზოგადად, სოციალური ინსტიტუტების რაობა, დანიშნულება და ფუნქციები საზოგადოების ფუნქციონირებასა და განვითარებაში; კერძოდ, განხილული იქნება თანამედროვე ამერიკის შეერთებული შტატების ძირითადი სოციალური ინსტიტუტები (ოჯახი, განათლება, რელიგია, პოლიტიკური სისტემა, ეკონომიკური სისტემა, მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები და სხვ.), მათი მრავალფეროვნება და ცვალებადობა, ურთიერთკავშირი და ურთიერთზეგავლენა, პერსპექტივები.

კურსის პროგრამის თითოეული თემის განხილვა მოხდება თანამედროვე ქართულ სოციალურ ინსტიტუტებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე.

კურსის მთავარი ამოცანაა, გამოუმუშავოს სტუდენტებს ამერიკული საზოგადოების სოციალური ინსტიტუტების, მათი მნიშვნელობისა და დანიშნულების სიღრმისეული სოციოლოგიური ხედვის, დამოუკიდებელი და ანალიტიკური აზროვნების უნარ-ჩვევები.

5. **სასწავლო კურსის დასახელება:** დემოკრატული ღირებულებები და ადამიანის უფლებები ამერიკაში

სასწავლო კურსის მიზანი: კურსის მიზანია სტუდენტს გააცნოს ამერიკული დემოკრატიზმის იდეა, ის დემოკრატული ღირებულებები, რომლებზეც არის დაფუძნებული ამერიკული პოლიტიკური სისტემა და მენტალობა. კურსის ფარგლებში სტუდენტები შეისწავლიან ამერიკული დემოკრატიზმის თავისებურებებსა და იმ სპეციფიკაციებს, რომლებიც თანამედროვე მსოფლიოში დემოკრატიზმის სახელმძღვანელოდ იქცა. სტუდენტები ასევე შეისწავლიან ადამიანის თავისუფლების დეკლარაციის ძირითად ელემენტებსა და პოსტულატებს და მათ მიმართებას ამერიკული დემოკრატიზმის იდეასთან. თითოეულ თემზე თეორიული საკითხების შესწავლას მოჰყვება დისკუსია, ანალიზი, სემინარული განხილვა, გონებრივი იერიშისა და ინტელექტუალური სწავლების სხვა მეთოდებით მუშაობა. კურსის მიზანია სტუდენტს გამოუმუშაოს აშშ-ს საზოგადოებასა და პოლიტიკური სისტემაში არსებული დემოკრატიზმის გააზრებისა და შესაბამისი ღირებულებების გაგების უნარ-ჩვევები.

6. **სასწავლო კურსის დასახელება:** მე–20 საუკუნის ლათინური ამერიკა / Latin America of the 20th Century

სასწავლო კურსის მიზანი: ინტერდისციპლინარული კურსის მიზანია, სტუდენტებს მიეცეს მთლიანი და სისტემური წარმოდგენა მე–20 საუკუნის ლათინური ამერიკის ქვეყნების ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული განვითარების კანონზომიერებებისა და თავისებურებების შესახებ; რეგიონის ცალკეული ქვეყნების ყოველმხრივი შესწავლის საფუძველზე სტუდენტებისათვის როგორც რეგიონის ზოგადი პრობლემების, ისე სხვადასხვა ქვეყანაში მათი გამოვლენის თავისებურებების გაცნობა. პარალელების გავლება საქართველოსთან.

7. **სასწავლო კურსის დასახელება:** Political Analysis of the U.S. Constitution / აშშ–ის კონსტიტუციის ანალიზი

სასწავლო კურსის მიზანი: Critical thinking and understanding specifics of functioning main U.S. institutions of government.

8. **სასწავლო კურსის დასახელება:** ამერიკული პრაგმატიზმი და ევროპული ტრანსცენდენტალიზმი

სასწავლო კურსის მიზანი: კურსი მიზნად ისახავს სტუდენტს გააცნოს აშშ–ში შეიქმნილი სპეციფიკური კულტურის თავისებურებები, ამერიკული მსოფლმხედველობის ორიგინალურობა, რომელმაც ყველაზე მკვეთრად აისახა პრაგმატიზმში. კურსის ფარგლებში სტუდენტი გაეცნობა პრაგმატიზმის ძირითად ცნებებსა და პრობლემებს და მათი გადაწყვეტის ვარიანტებს, ანალიტიკური და პრაგმატული ფილოსოფიის მიმართებას. კურსი ითვალისწინებს ამერიკული პრაგმატიზმისა და ევროპული ტრანსცენდენტალიზმის კომპარატივისტულ ანალიზს. სტუდენტი გაეცნობა ტრანსცენდენტალიზმს, როგორც ევროპული(კონტინენტური) ფილოსოფიის, აზროვნების არსობრივ თემასა და წესს, ევროპუ;ლი

ტრანსცენდენტალიზმის ძირითად ცნებებსა და პრობლემებს და მათი გადაწყვეტის ვარიანტებს; გაანალიზდება პრაგმატიზმი და ტრანსცენედენტალიზმი, როგორც ორი მსოფლმხედველობრივი ტიპი, როგორც ევროპული ცივილიზაციის განვითარების ორი ძირითადი მიმართულება, შევეხებით მათი ურთიერთობისა და ურთიერთგავლენის ხასიათს გლობალურ მულტიკულტურულ კონტექსტში.

9. **სასწავლო კურსის დასახელება:** ქალი ამერიკის კულტურასა და პოლიტიკაში / Woman in American Politics and Culture

სასწავლო კურსის მიზანი: კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს ქალის როლი ამერიკის კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ყურადღება გამახვილებულია XX საუკუნეზე. განხილულია შემდეგი საკითხები: ფემინისტური მოძრაობის მოკლე ისტორია; ფემინისტური იდეების გავლენა ამერიკის პოლიტიკასა და კულტურაზე; ამერიკელი ქალების სტატუსი პოლიტიკაში; ქალი და არჩევნები; ქალები-გადაწყვეტილების მიმღებები; აშშ-ის რესპუბლიკური და დემოკრატიული ადმინისტრაციების პოლიტიკა ქალთა საკითხებში; პირველი ქალბატონების როლი პოლიტიკურ ცხოვრებაში; ქალი ამერიკის კულტურაში – ლიტერატურაში, სახვით ხელოვნებაში, კინოსა და მუსიკაში.

10. **სასწავლო კურსის დასახელება:** ქართული დიასპორის ისტორია აშშ–ში / Georgian Diaspora in America

სასწავლო კურსის მიზანი: კურსის მიზანია, ბოლო წლებში არსებულ ქართულ-ამერიკული მჭიდრო ურთიერთობების ფონზე სტუდენტებმა გაიგონ ორი ქვეყნის ურთიერთობების ისტორია XIX-XX სუკუნეების განმავლობაში, თუ როგორ წარიმართა იგი საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში, ოკუპაციის შემდეგ და ემიგრაციაში. რას და როგორ მიაღწიეს ლტოლვილმა ქართველებმა ახალ სამშობლოში, რა პრობლემების და სირთულეების დაძლევა მოუწიათ და როგორი იყო ამერიკის ადმინისტრაციის დამოკიდებულება საქართველოსა და ქართველების მიმართ სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში.

11. **სასწავლო კურსის დასახელება:** თანამედროვე ამერიკული ლიტერატურა და ხელოვნება/ 20th Contemporary American Literature and Art

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია ამერიკისმცოდნეობის მაგისტრეტურის სტუდენტებს შეუქმნას ძირითადი წარმოდგენა იმ ერთიან ესთეტიკურ და მსოფლმხედველობრივ კონტექსტზე, რაც მე-20 საუკუნის ორ ურთულეს მოვლენას: ამერიკულ ლიტერატურასა და ხელოვნებას აერთიანებს და საერთო ნაციონალური თვითგამოხატვის ფორმად აქცევს. კურსი მიზნად ისახავს განუვითაროს მაგისტრანტ-ამერკანისტს თანამედროვე ინგლისურენოვანი მხატვრული ტექსტის აღქმისა და ანალიზის ლიტერატურათმცოდნეობითი უნარი და, ამავე დროს, წარმოუჩინოს მას ამერიკული სახვითი ხელოვნება, არქიტექტურა და ლიტერატურა ერთიან ესთეტიკურ კონტექსტში, როგორც ერთიანი კულტურის ნაყოფი. მე-20 საუკუნის ძირითად ლიტერატურულ-კრიტიკულ და ხელოვნებათმცოდნეობით მოძღვრებათა მიმოხილვის გზით, კურსი მიზნად ისახავს ამერიკული ლიტერატურული და სახვითი ავანგარდის ესთეტიკის ზოგად საფუძველთა სწავლებასაც. ყურადღება ძირითადად გამახვილებულია გასული საუკუნის იმ პერიოდზე, რომელიც წინ უძღვის 1970-იანი წლების დიდ კომპიუტერულ რევოლუციას, რამაც დიდწილად შეცვალა ამერიკელთა წარმოდგენა სამყაროსა და საკუთარ თავზე, მაგრამ უცვლელად დატოვა ლიბერალური ფასეულობებისადმი ის ერთგულება, რითაც გამსჭვალულია მთელი მე-20 საუკუნის ამერიკული ლიტერატურა და ხელოვნება. ძირითადი აქცენტი კურსში მე-20 საუკუნის ამერიკული ლიტერატურის ისტორიაზე

კეთდება, ხოლო სახვითი ხელოვნების (ვიზუალ არტს), მუსიკისა და კინემატოგრაფიის ნიმუშები მოიხმობა უმთავრესად როგორც მასალა, ერთიანი კულტურული ფონის წარმოსაჩენად.

12. **სასწავლო კურსის დასახელება:** The US Economy: basic principles and trends of development / აშშ–ის ეკონომიკა: საბაზისო პრინციპები და განვითარების მიმართულებები

სასწავლო კურსის მიზნები: On the completion of the course the students will obtain an overview of the basics of the US Economy with particular attention to its current status and the influence of the consequances of 2008-2009 World financial crises.

13. **სასწავლო კურსის დასახელება:** 1960-იანი წლების ამერიკა/America of 1960s

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია, გააცნოს სტუდენტებს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, ე.წ. "მშფოთვარე" ათწლეული ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში, რომელმაც უდიდესი გავლენა იქონია ქვეყნის შემდგომ განვითარებაზე. ყურადღება გამახვილებულია ამ პერიოდის საზოგადოებრივ, კერძოდ, სამოქალაქო უფლებებისათვის, ახალგაზრდულ, ქალთა მოძრაობებზე; კენედის, ჯონსონისა და ნიქსონის ადმინისტრაციების საშინაო პოლიტიკაზე, ვიეტნამის ომზე, კონტრკულტურაზე.

14. **სასწავლო კურსის დასახელება:** ამერიკული არქიტექტურის პარადიგმები /Paradigms of American Architecture (ინგლისურენოვანი კურსი)

სასწავლო კურსის მიზნები: მულტიდისციპლინარული კურსის **მიზანია**, გააცნოს სტუდენტებს ამერიკული არქიტექტურის ისტორია, მისი განვითარების ტენდენციები, ცნობილი ამერიკელი არქიტექტორები და მათი შემოქმედება, თეორეიბი და ა.შ. მისი დახმარებით სტუდენტები დაამყარებენ კავშირს არქიტექტურას, ურბანიზმს, დიზაინს და ზოგადად კულტურას (მუსიკას, თეატრს, კინოს, ფოტოგრაფიას, ლიტერატურას, პოეზიასა და ფილოსოფიას) შორის.

15. **სასწავლო კურსის დასახელება:** ბიზნესი და ტექნოლოგია ამერიკის შეერთებულ შტატებში: ისტორია და კონცეფციები / Business and Technology in the USA: History and Conceptions

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია, ამერიკის შეერთებული შტატების ფორმირების პანორამული სურათის წარდგენა ძირითადი ფოკუსით იმ საკვანძო კონცეფციების, პიროვნებათა, იდეათა და სისტემების წარმოჩენაზე, რომელთაც ჩამოაყალიბეს ბიზნესი და ტექნოლოგია აშშ-ის საზოგადოებრივი განვითარების ერთ-ერთ ძირითად წარმმართველ ძალად. ამერიკის შეერთებულ შტატებში განხორციელებული რევოლუციური ინოვაციების აღწერა. იმის გაშუქება, თუ როგორ არის ორგანიზებული ამერიკაში სამთავრობო, საბიზნესო საგანმანთლებლო, სამეცნიერო სტრუქტურები და მათი წარმოჩენა ამერიკული სინამდვილის ფართო კულტურულ კონტექსტში.

16. **სასწავლო კურსის დასახელება:** ინგლისური ენა სპეციალური მიზნებისათვის / English for Special Purposes

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია ამერიკანისტიკის სპეციალობის მაგისტრანტ სტუდენტებს შეუქმნას წარმოდგენა სამართლისა და ბიზნესის ძირითად ცნებებზე და გააცნოს მათ ბიზნესისა და სამართლისათვის დამახასიათებელი ლექსიკა. კურსის მიზანია აგრეთვე შემდეგი ჩვევების გამომუშავება: არაფორმალური და ფორმალური პრეზენტაციების გამართვა, ცხრილებისა და გრაფიკების გამოყენება, მოლაპარაკებების წარმოების საფუძველთა გაცნობა (როგორც ენობრივი, ასევე კულტურული სპეციფიკის გათვალისწინებით), საქმიანი წერილების წერა და სხვა.

17. **სასწავლო კურსის დასახელება:** მეოცე საუკუნის ანგლო-ამერიკული მოდერნისტული პოეზია და ამერიკელ ექსპატრიატთა ლიტერატურა / Modernist Poetry and the Literature of the American Expatriates

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია ამერიკანისტიკის მაგისტრეტურის სტუდენტებს შეუქმნას ძირითადი წარმოდგენა ანგლო-ამერიკულ მოდერნისტულ პოეზიაზე, როგორც მეოცე საუკუნის ინგლისურენოვანი ლიტერატურისა და კულტურის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენაზე; განუვითაროს თანამედროვე ინგლისურენოვანი პოეტური ტექსტის აღქმისა და ანალიზის ლიტერატურათმცოდნეობითი ჩვევები. Mმე-20 საუკუნის ძირითად ლიტერატურულ-კრიტიკულ მოძღვრებათა მიმოხილვის გზით, კურსი აგრეთვე მიზნად ისახავს ლიტერატურული მოდერნიზმის ესთეტიკის ზოგადი საფუძვლების სწავლებას. კურსში ასევე ვრცლად არის განხილული მეოცე საუკუნის უდიდესი ექსპატრიატი მწერლების – ერნესტ ჰემინგუეის, ფ. სკოტ ფიცჯერალდის, გერტრუდ სტაინის, ეზრა პაუნდისა და ტ.ს. ელიოტის შემოქმედება. ყურადღება დაეთმობა აგრეთვე ექსპატრიატ მწერალთა მეორე ტალღას – ბიტნიკების თაობას, რომლებმაც შესამჩნევი კვალი დატოვეს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ამერიკულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში.

18. **სასწავლო კურსის დასახელება:** American Democracy and History of Political Thought / ამერიკული დემოკრატია და პოლიტიკური აზრის ისტორია

სასწავლო კურსის მიზნები: The course is thought to give the students an idea of philosophical thinking and according to the history of philosophy, to introduce them with the development of political thought. In order to elucidate deep connection between philosophy and political way of thinking, the lectures are offered to compare philosophical truth with truth in political sense. Political thought succeeds in unfolding from the beginning of Greek philosophy – the Sophists, Socrates, Plato, Aristotle, through the new philosophy of mid-centuries (Descartes, Kant, Hobbs, Lock…) to the problems of modern philosophy. The Emergence of Democracy in America (USA) is considered on the background of the development of political thought. The main types of Democracy are also rooted in the history of political thought.

19. **სასწავლო კურსის დასახელება:** თანამედროვე ამერიკის რელიგიები / Religions of the Contemporary US

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის მიზანია, ჩამოუყალიბოს სრულფასოვანი წარმოდგენა თანამედროვე აშშ-ის საზოგადოების მრავალფეროვნების შესახებ, მის მახასიათებლებზე, განსხვავებებზე კულტურულ და კონფესიურ ცხოვრებაში, საზოგადოებაში მათ ადგილსა და როლზე, რაც აშშ-ის საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია; გააცნოს აშშ-ში გავრცელებული ძირითადი რელიგიური მიმდინარეობები; დაანახოს ამერიკის ისტორია და რეალობა რელიგიური პლურალიზმისა და დენომინაციური ჩარჩოების პერსპექტივაში;

20. **სასწავლო კურსის დასახელება:** აშშ-ს პრესის პოლიტიკური ანალიზი / Political Analyses of U.S. Press

სასწავლო კურსის მიზნები: Acquaintance with the leading U.S. news papers; Acquaintance with the specifics of functioning the news papers; Development of independent analytical skills of evaluation political processes; Skills of advocating political positions, independent mentality.

21. **სასწავლო კურსის დასახელება:** ჯაზი და ამერიკის ურბანული კულტურა

სასწავლო კურსის მიზნები: კურსის **მიზანია**, სტუდენტებს გააცნოს აშშ-ის ქალაქი და ურბანული კულტურა; ამერიკული ქალაქების სოციალურ-კულტურული თავისებურება; ჯაზური მუსიკის, როგორც ამერიკის ერთ-ერთი სიმბოლოს, წარმოშობისა და განვითარების უმთავრესი ეტაპები და შემსრულებლები. შეძლოს ჟაზური მუსიკის განხილვა ამერიკის სხვა სახელოვნებო ფორმებთან მიმართებაში.